საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/83

ქ. ბათუმი

02 აგვისტო, 2022 წელი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

2022 წლის 12 აპრილს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ“) და ამხანაგობას „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ (ს.კ. 245800502, შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №85, ბსუ-ს ნაგებობების სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2022 წლის 17 მარტს გამოცხადებული №NAT220005419 ელექტრონული ტენდერის შედეგების საფუძველზე (შესყიდვის კატეგორია - CPV 71300000 - საინჟინრო მომსახურებები).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N85 ხელშეკრულების მე-10 მუხლის (მუხლი 10. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები) თანახმად მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველეყო შეკვეთილი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და შემსყიდველისთვის წარდგენა, შესაბამის საექსპერტო დასკვნასთან ერთად, ხოლო თუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება გადააჭარბებდა 200 000 (ორასი ათასი) ლარს, აღნიშნული მომსახურება მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებული იყო წინასწარ ეცნობებინა შემსყიდველისათვის აღნიშნული გარემოების შესახებ.

ბსუ-ს მიერ გაგზავნილი **2022 წლის 21 ივნისის №MES6 22 0000683299 წერილით** მიმწოდებელს ეთხოვა ქ. ბათუმში ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32-ში მდებარე ბსუ-ს კორპუსების ეზოს სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რაც დღემდე არ შესრულებულა. ბსუ-ს ეზოს სრული რეაბილიტაციის სამუშაოების შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, **მიმწოდებელს მ/წლის 22 ივლისს გაეგზავნა შეხსენების წერილი** №MES7 22 0000830610, რომლითაც ეთხოვა საპროექტო დოკუმენტაციის 26 ივლისის ჩათვლით ვადაში წარმოდგენა, რაც არ შესრულდა, ხოლო **27 ივლისის №MES0 22 0000846922 წერილით მიეცა რეკომენდაცია 29 ივლისის** ჩათვლით საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, რაც ასევე არ შესრულებულა (წერილობითი გაფრთხილებები მიმწოდებელ კომპანიას ეგზავნებოდა ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე - ქ. ბათუმი, სხალთის 33, ელექტრონულ მისამართზე infotendersgroup@gmail.com). ამ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ასახულია ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის

დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (ტექნიკური ზედამხედველი) მერაბ ხალვაშის 2022 წლის 02 აგვისტოს №MES7 22 0000865658 სამსახურებრივი ბარათში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-სა და ამხანაგობას „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ შორის 2022 წლის 12 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლებისა და მე-9 მუხლის 9.5 და 9.6 პუნქტების, მე-14 მუხლის მოთხოვნების, ამხანაგობა „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“-ზე გაგზავნილი ბსუ-ს 2022 წლის 27 ივლისის №MES0 22 0000846922 წერილის, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის (ტექნიკური ზედამხედველი) მერაბ ხალვაშის 2022 წლის 02 აგვისტოს №MES7 22 0000865658 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეწყდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ამხანაგობას „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ (ს.კ. 245800502, „მიმწოდებელი“) შორის 2022 წლის 12 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის გამო, თანახმად ამავე ხელშეკრულების 9.6 პუნქტისა.

2. წინამდებარე ბრძანებასთან ერთად გაეგზავნოს ბსუ-ს წერილობითი შეტყობინება ამხანაგობას „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულების შესაბამისად დარიცხული საჯარიმო სანქციების/პირგასამტეხლოს ოდენობის და გადახდის პირობების (შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე) შესახებ.

3. ქ. ბათუმში ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32-ში მდებარე ბსუ-ს კორპუსების ეზოს სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა.

4. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს:

ა) ამხანაგობისათვის „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ წინამდებარე ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №85 ხელშეკრულების შესაბამისად დარიცხული საჯარიმო სანქციების/ პირგასამტეხლოს ოდენობის, შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში დაფარვის თაობაზე წერილობითი შეტყობინების მომზადება და გაგზავნა;

ბ) ამხანაგობა „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“-ს **არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში განთავსების მიზნით შესაბამისი მონაცემების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის წარდგენა**, თანახმად „შავი სიის წარმოებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებისა;

გ) 2022 წლისათვის დარჩენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება და ახალი ელექტრონული ტენდერის მომზადება/გამოცხადება საორიენტაციო თანხაზე 400000,00 (ოთხასი ათასი) ლარი;

დ) ამ ბრძანების მე-3 პუნქტის გათვალისწინებული გადაწყვეტილების სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურების განხორციელება, სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესაბამისად;

ე) ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვა განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან დადგენილი წესით შეთანხმების შემდეგ.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან (სისტემაში ატვირთვიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ივანთე ჩხარტიშვილი